საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში. (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი).

სამხრ. საზღვარი ემთხვევა საქართვ.–თურქ. სახელმწ. საზღვარს, დას-ით ესაზღვრება ასპინძის, ჩრდ-ით – ბორჯომის, აღმ-ით – ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპ-ები ფართ. 1235 კმ². მოსახლ. 45,1 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. ახალქალაქი. მუნიც-ში არის 1 ქალაქი, 64 სოფელი, 6 სათავო სოფელი: დილისკის, ზაკვის, კოთელიის, პტენის, ტურცხის, ჩუნჩხის; 21 თემი: აზავრეთის, ალასტანის, არაგვის, ბარალეთის, გოგაშნის, ვაჩიანის, კარტიკამის, კარწახის, კოჭიოს, კუმურდოს, ოკმის, სულდის, ხავეთის, ხანდოს, ხოსპიოს.

ისტორიული ცნობა. ა. მ. ჯავახეთი ჩრდ.-დას. ნაწილში მდებარეობს. იგი ადრინდ. ფეოდ. ხანის ზემო ჯავახეთის დიდ ნაწილს მოიცავს. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ახლანდ. ა. მ-ის ტერიტ. ახალქალაქის საერისთავოში შედიოდა. XVI ს-ში ოსმალეთმა დაიპყრო. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (XVI ს.) ასახელებს ხერთვისის ლივაში შემავალ ხერთვისისა და ტყე-ჯავახეთის ადმ. ერთეულებს, აგრეთვე ახალქალაქის ლივაში შემავალ აქშეჰირის ადმ. ერთეულს. რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ადრიანოპოლი საზავო ხელშეკრულება (1829) თანახმად, ჯავახეთი ახლანდ. ა. მ-ის ტერიტორიითურთ რუს. იმპერიას გადაეცა. ტერიტორიულად იგი XIX ს. II ნახევარში შექმნილ ბარალეთის საპოლიციო უბანს ემთხვევა. 1930-მდე ახლანდ. ა. მ-ის ტერიტ. შედიოდა ახალქალაქის მაზრაში. 1930 გამოიყო ცალკე რ-ნად.

ბუნება. ა. მ. მდებარეობს ჯავახეთის ვულკ. ზეგანზე, 1500 – 3300 მ სიმაღლეზე. რელიეფის აგებულებაში უმთავრესად მონაწილეობენ ნეოგენური და მეოთხეული ეფუზიური ქანები და ტბიურ-მდინარეული ნალექები, რ-ებიც ახალქალაქის პლატოს ქმნიან. იგი ახალგაზრდა ვულკ. ნაგებობაა. მისი ზედაპირი ტალღობრივი ვაკეა, რ-ზედაც მცირე (ტბიანი და ნატბეური) ქვაბულები, სერები, ბორცვები და კანიონისებრი ხეობებია. ა. მ-ის აღმ. ნაწილში აღმართულია სამსრის ქედი (მთები: დიდი აბული – 3301 მ, სამსარი – 3285 მ). ჩრდ-ით მუნიციპ-ის ფარგლებში შედის თრიალეთის ქედის დას. მონაკვეთის სამხრ. კალთები. მთიანი რელიეფია სამხრ. ნაწილშიც, სადაც განედურად გაწოლილია საშ. სიმაღლის ნიალისყურის ქედი, მისი ჩრდ. კალთა მუნიციპ-ის ტერიტორიაზეა.

ა. მ-ის მთის სტეპის ჰავაა, იცის ცივი, მცირეთოვლიანი ზამთარი და გრილი ზაფხული. ყველაზე მაღალ ადგილებში გაბატონებულია ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალი მთიანეთის ზომიერად მშრალი ჰავა. ბარში იანვ. საშ. ტემპ-რა –7°C-იდან –10°C-მდეა, აგვ. 14-იდან 16°C-მდე; აბსოლ. მინ. –40°C, აბსოლ. მაქს 38°C. ნალექები 500 – 700 მმ წელიწადში. ყველაზე მეტი ნალექია ზაფხულში, მაქს.–ივნ-ში (90 – 100 მმ), მინ. –იანვ-ში (16 – 25 მმ). ნალექი თოვლის სახით მოდის ოქტ-იდან. გაბატონებულია სამხრ.-აღმოსავლეთის, ხოლო ზაფხულში – ჩრდ.-დასავლეთის ქარები.

მუნიციპ-ში ბევრი ტბა და მდინარეა. ზემო დინებაში მდ-ებს მცირე დაქანება აქვთ, ქვემოთ კი ტიპურ მთის მდ-ებად იქცევიან, ა. მუნიციპ-ის დას. საზღვარს 18 კმ-ზე გასდევს მდ. მტკვარი, მუნიციპ-ის ცენტრ. ნაწილში მიედინება მისი მარჯვ. შენაკადი – ფარავანი. მუნიციპ-ის ჩრდ. ნაწილი დანაწევრებულია მდ. ფარავნის მარჯვ. შენაკადებით – ჭობარეთისწყლითა და ბარალეთისწყლით, რ-ებიც კანიონებს ქმნიან. სამხრ. ნაწილში მიედინება მდ. ფარავნის მარცხ. შენაკადი – მურჯახეთისწყალი. მდ-ები უმთავრესად მიწისქვეშა წყლით საზრდოობენ. ტბებიდან აღსანიშნავია ზრესკი და ხოზაფინი (კარწახი). მუნიციპ-ის თითქმის ყველა ნაწილში არის პატარა ტბა. ბარალეთის ვაკეზე, აგრეთვე სოფლების ვაჩიანის, ოკმის, სულდის, კარწახის, აბულისა და სხვ. მიდამოებში ჭაობებია.

ა. მ-ში 1800 – 2000 მ სიმაღლეზე უმეტესად მთის შავმიწა ნიადაგია, უფრო მაღლა – მთის მდელოს შავმიწისებრი ნიადაგი. ზოგი ტაფობის ძირი უკავია ჭაობიან ნიადაგს. მდ. ჭობარეთისწყლის სათავეში, ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვნარში, ყომრალი და კორდიან-კარბონატული ნიადაგებია.

მუნიციპ-ის უმეტესი ნაწილი უტყეოა, შემოსილია მთისა და მდელო-სტეპის მცენარეულობით. ადრინდ. მცენარეულ საფარს კი წიფლნარი, ფიჭვნარი და მუხნარი შეადგენდა. მთის სტეპებს შორის ჭარბობს ნაირბალახოვან-მარცვლოვანი დაჯგუფება. არის აგრეთვე ურიანი, ვაციწვერიანი, წივანიანი, ისლიანი და სხვ. სტეპები. ტბების ირგვლივ და დაჭაობებულ ტაფობებში გავრცელებულია წყლისა და ჭაობის მცენარეულობა. 2200 მ-ზე მაღლა იწყება სუბალპ. და ალპ. მდელოები.

ბინადრობს მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, დედოფალა, ჭრელტყავა, კურდღელი, ბრუცა, წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი, იშვიათად – წავი. მრავლადაა მწყერი და კაკაბი. მაღალ მთებში გვხვდება კავკასიური როჭო. თითქმის ყველგანაა ყვავი, კაჭკაჭი, ოფოფი, ნამგალა, ზოგან – კრონშნეპიც. გვხვდება გველხოკერა, ანკარა, გომბეშო, ვასაკა. მდინარეებსა და ტბებში ბევრია კალმახი, ხრამული, ქაშაპი, ტობი, წვერა, მურწა და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. კანიონისებრი ხეობები ჩამორეცხილი ნიადაგით; 2. ლავური პლატოები მთის სტეპური მცენარეულობითა და შავმიწა ნიადაგით; 3. მთისწინეთი გასტეპებული მდელოებითა და შავმიწისებრი ნიადაგით; 4. მთის გასტეპებული სუბალპ. მდელოები შავმიწისებრი ნიადაგით; 5. მთა-მდელოს (სუბალპ. და ალპ.) ლანდშაფტი.

მოსახლეობის უმეტესობა სომხები არიან, რ-ებიც აქ XIX ს. I ნახევარში დამკვიდრდნენ. ცხოვრობენ აგრეთვე ქართველები, რუსები, ბერძნები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა 1500 – 2000 მ ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 36,5 კაცი 1 კმ² -ზე (2014).

მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგია სარძეო-სახორცე მეცხოველეობა. მუნიციპ-ის მთელი ფართობის დაახლ. 70% უჭირავს სას.-სამ. სავარგულს. მარცვლეულ კულტურებში წამყვანია საგაზაფხულო ხორბალი და ქერი. ა. მ. კარტოფილის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი რ-ნია. მრავალწლოვანი ნარგავებიდან მხოლოდ ხეხილის ბაღებია.

საძოვრების სიუხვე საშუალებას იძლევა, გარდა ადგილობრივისა, გამოიკვებოს საქართვ. აღმ. ნაწილის ბარის მუნიციპ-ების საქონელი. ზამთარში საქონლის ბაგური შენახვისათვის იყენებენ მაღალმოსავლიანი სათიბების თივას, აგრეთვე საკვებ კულტურებს, რ-ებსაც მთელი ნათესი ფართობის დაახლ. 1/3 უჭირავს. განვითარებულია მეფრინველეობა, მეფუტკრეობა. მთის სტეპის ყვავილების სიუხვის გამო აქაური თაფლი მაღალხარისხოვანია.

მრეწვ. სუსტადაა განვითარებული. ძირითადი დარგია კვების მრეწველობა: ყველისა და კარაქის ქ-ნები.

ა. მ-ის ტერიტორიაზე გადის მარაბდა–ახალქალაქის სარკინიგზო ხაზი, ბათუმ – ახალციხე–გიუმრის, ახალქალაქ – ბაკურიან – ბორჯომისა და ახალქალაქ – კარწახის საავტ. გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. ა. მ-ში არის საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სს „ევექსის ჰოსპიტლები“.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპ-ის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: პატარა სამსრის ეკლესია და გამოქვაბულთა კომპლექსი, აბული, ალასტანი, დანკალის (X – XI სს.), იხტილის წმ. სტეფანეს (1308), ბარალეთი, აზავრეთი, ბავრი, ბურნაშეთი, დადეშის (ყველა განვითარებული შუა საუკ.), ვარევნის (1893) ეკლესიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კუმურდო გუმბათოვანი ტაძარი (964), ახალქალაქის ციხე-ნაქალაქარი (XI – XIII და XVIII სს.), აგრეთვე მრავალი ეკლესია კუმურდოს, მურჯახეთის, ხორენიის და სხვ. მიდამოებში.

თ. ღვინიანიძე

დ. ბერძენიშვილი